

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს
წლის № დადგენილებით
აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
ასოც. პროფესორი მერაბ ხალვაში

განხილულია განათლების ფაკულტეტის საბჭოს
სხდომაზე ოქმი № , წელი
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
დეკანი: ასოც. პროფესორი მადონა მიქელაძე

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

განათლების ფაკულტეტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
ბაგა-ბალის აღმზრდელი-პედაგოგი

საკონტაქტო ინფორმაცია:

საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის ქ. 35, 6010

ტელ: +995(422) 27-17-80

ფაქსი: +995(422) 27-17-87

ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

პროგრამის ხელმძღვანელები:

ნანი მამულაძე - ბსუ-ს განათლების ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი

მარინე გურგენიძე - ბსუ-ს განათლების ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი

ნატო შეროზია - ბსუ-ს განათლების ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი

ბათუმი 2017

- I. **სახელწოდება:** ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი
- II. **ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროფესიული პროგრამა „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი“:** 01101-3
- III. **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
- IV. **საკანონმდებლო ბაზა:**
- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
 - ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
 - ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროფესიული სტანდარტი
- V. **დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება
- VI. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ბაგა-ბაღში, სასკოლო მზაობის პროგრამებში, კერძო საბავშვო დაწესებულებებში, საბავშვო გასართობ ცენტრებში, დღის ცენტრებში, სკოლამდელი ასაკის ბავშვის მომსახურების ცენტრებში და ა.შ.
- VII. **მიზანი:**
პროგრამის მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდას და განვითარებას. ამ მიზნებისთვის მან უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელ სააღმზრდელო გარემო და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ბაღის კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.
- VIII. **სწავლის შედეგები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:
- ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება
 - სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით
 - სააღმზრდელო პროცესის მართვა პოზიტიური გაძღოლის პრინციპების გამოყენებით
 - წარმატებული, უსაფრთხო მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა
- IX. **ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება:**
საგანმანათლებლო დაწესებულება ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.
- შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ყველა სავალდებულო ზოგად და სავალდებულო პროფესიულ მოდულს. ასევე ითვალისწინებს არჩევითი სტატუსის მოდულებს - 10 კრედიტს.

X. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

პროგრამის მოცულობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 111 კრედიტი, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 141 კრედიტი;

პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 16 სასწავლო თვე, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 21 სასწავლო თვე

XI. სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი მოდული/მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
ინფორმაციული წიგნიერება 2	3	გაცნობითი პრაქტიკა-ბაგა-ბალის აღმზრდელი პედაგოგი	2	ხატვა	5
მეწარმეობა 3	3	საწარმოო პრაქტიკა-ბაგა-ბალის აღმზრდელი პედაგოგი	12	მერწვა	2
უცხოური ენა	5	პრაქტიკული პროექტი-ბაგა-ბალის აღმზრდელი პედაგოგი	6	ორიგამი, კირიგამი და აპლიკაცია	3
		ადრეული განვითარების თავისებურებები	6		
		ადრეული განათლების კურიკულუმი	6		
		ბავშვზე ორიენტირებული მიდგომა	6		
		სააღმზრდელო გარემო	6		
		სააღმზრდელო პროცესი	6		
		სწავლების შინაარსი: კომუნიკაცია, მეტყველება, წიგნიერება	6		

		სწავლების შინაარსი: მეცნიერება და მათემატიკა	5		
		სწავლების შინაარსი: სახვითი და პერფორმანსული ხელოვნება და ფიზიკური აქტივობები	5		
		დაკვირვება და შეფასება	5		
		განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თვისებურებები	6		
		ოჯახი,თემი და სააღმზრდელო დაწესებულება	4		
		ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	6		
		პროფესიული ეთიკა	3		
სულ:	11	სულ:	90	სულ:	10

XII. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება:

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

XIII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები, ასევე არჩევითი პროფესიული მოდულებიდან 10 კრედიტი.

XIV. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - XIII პუნქტით გათვალისწინებული წესით.

XV. ქართული ენა A2 და B1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სხვა მოდულების დაშვების წინაპირობაა. მოდულის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგები მიღწეულად ჩაეთვლება პირს, რომელმაც ერთიანი პროფესიული ტესტირება გაიარა ქართულ ენაზე ან რომლის ჩარიცხვის პროცედურები ერთიანი პროფესიული ტესტირების გარეშე, განხორციელდა ქართულ ენაზე.

„მოდულის, ქართული ენა A2 და ქართული ენა B2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება #152/5 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით“

XVI. დანართები:

- დანართი №1- სასწავლო გეგმა;
- დანართი №1ა- სასწავლო გეგმა;
- დანართი №2 - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;

ზოგადი სავალდებულო მოდულები

- დანართი №3 მეწარმეობა 3
- დანართი №4 ინფორმაციული წიგნიერება 2
- დანართი №5 უცხოური ენა
- დანართი №6 ქართული ენა A2;
- დანართი №7 ქართული ენა B1.

სავალდებულო პროფესიული მოდულები

- დანართი №8 გაცნობითი პრაქტიკა - ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი
- დანართი №9 საწარმოო პრაქტიკა - ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი
- დანართი №10 პრაქტიკული პროექტი ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგისათვის

დანართი №11 ადრეული განვითარების თავისებურებები
დანართი №12 ადრეული განათლების კურიკულუმი
დანართი №13 ბავშვზე ორიენტირებული მიდგომა
დანართი №14 საადმზრდელო გარემო
დანართი №15 საადმზრდელო პროცესი
დანართი №16 სწავლების შინაარსი კომუნიკაცია, მეტყველება, წიგნიერება
დანართი №17 სწავლების შინაარსი მეცნიერება და მათემატიკა
დანართი №18 სწავლების შინაარსი სახვითი და პერფორმანსული ხელოვნება და ფიზიკური აქტივობები
დანართი №19 დაკვირვება და შეფასება
დანართი №20 განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები
დანართი №21 ოჯახი, თემი და საადმზრდელო დაწესებულება
დანართი №22 ჯანმრთელობა და უსაფრთხოება
დანართი №23 პროფესიული ეთიკა

არჩევითი პროფესიული მოდულები

დანართი №28 ხატვა
დანართი №29 ძერწვა
დანართი №30 ორიგამი, კირიგამი და აპლიკაცია